

ცვლილებები ძალაშია 01/02/2018–დან

ინტერნეტ-გვერდზე [www.procreditbank.ge](http://www.procreditbank.ge) განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. შეიცვალა საბანკო მომსახურების პირობების მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის ა) ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„ა) სასესხო შენატანის განხორციელებასთან, ვადიანი ტიპის ანაზღაურებთან, ანგარიშის უმოდრაობასთან, ბარათით შესრულებულ ტრანზაქციებთან, ავტომატურ დავალებებთან, ბარათის დაბლოკვა/განბლოკვასთან დაკავშირებული ინფორმაცია კლიენტის მიერ ასეთი ტიპის მომსახურებით სარგებლობის შეთხვევაში;“

2. შეიცვალა საბანკო მომსახურების პირობების მე-7 მუხლის მე-18 პუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად, ასევე მე-7 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 25-ე პუნქტი:

“18. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის, რომლის ანგარიშებიც არის უმოდრაო, წინასწარი შეტყობინების/გაფრთხილების გარეშე, ცალმხრივად, შეწყვიტოს მასთან გაფორმებული საბანკო მომსახურების ნებისმიერი ხელშეკრულება და დახუროს ანგარიშები.”

“25. 2018 წლის 01 იანვრიდან, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ კანონის თანახმად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 5,000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებ-გვერდზე: [www.diagency.ge](http://www.diagency.ge).

- რა თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სააგენტოს მიერ? - ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში კლიენტის ანგარიშებზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 5,000 ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 5,000 ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით
- როგორ ვისარგებლო დეპოზიტების დაზღვევით? - კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე
- კომერციულ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პირობები - სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღე, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში კომერციულ ბანკს გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები
- ანაზღაურების ვალუტა - ლარი“.

3. შეიცვალა საბანკო მომსახურების პირობების 7<sup>1</sup> მუხლი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„მუხლი 7<sup>1</sup>. უმოძრაო ანგარიშების მომსახურება და დახურვა

1. **ბანკის მიერ ინიცირებული** ოპერაციები - ისეთი ოპერაციები, რომლებიც სრულდება პროგრამის მიერ ავტომატურ რეჟიმში, ან ბანკის თანამშრომლის მიერ. ეს ოპერაციებია:
  - საბანკო მომსახურების საკომისიოს ჩამოჭრა;
  - ანაზღაურება და სესხზე (მათ შორის ოვერდრაფტზე) სარგებლის (პროცენტი, ჯარიმა) დარიცხვა / რეალიზაცია;
  - საინკასო დავალებით გადარიცხვა;
  - ჩარიცხვა სხვა ბანკიდან;
2. **კლიენტის მიერ ინიცირებული** ოპერაციები – ყველა ოპერაცია, რომლებიც არ განეკუთვნება **ბანკის მიერ ინიცირებულ** ოპერაციებს.
3. **უმოძრაო** ანგარიში – ანგარიში, რომელზეც ბოლო უწყვეტი 6 თვის განმავლობაში არ განხორციელებულა აქტიური ოპერაციები. (**უმოძრაო** ანგარიშზე შესაძლებელია იყოს ნაშთი);
4. **უმოძრაო ანგარიშების მქონე** კლიენტი – კლიენტი, რომლის ყველა ანგარიში უმოძრაოა;
5. კლიენტების **უმოძრაო** ანგარიშებზე კონტროლის გამკაცრებისა და არასანქცირებული საბანკო ოპერაციებისაგან თავდაცვის მიზნით **უმოძრაო** ანგარიშებზე იკრძალება აქტიური ოპერაციების ჩატარება, გარდა კლიენტის ან მესამე პირის მიერ **უმოძრაო** ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაციისა.
6. **უმოძრაო ანგარიშის მქონე** კლიენტის, როდესაც კლიენტის ყველა ანგარიში **უმოძრაოა**, ანგარიშების გააქტიურება დასაშვებია მხოლოდ კლიენტის ან კლიენტის უფლებამოსილი პირის ბანკში გამოცხადების შემთხვევაში. უმოძრაო ანგარიშზე რაიმე აქტიური ოპერაციის განხორციელება არ იწვევს **უმოძრაო** ანგარიშის და/ან **უმოძრაო ანგარიშების მქონე** კლიენტის ავტომატურად გააქტიურებას.
7. **უმოძრაო ანგარიშის მქონე** კლიენტის ანგარიშები ბანკის ინიციატივით იხურება თუ **უმოძრაო ანგარიშების მქონე** კლიენტის ყველა **უმოძრაო** ანგარიშზე ნაშთი არის 0 და ამ კლიენტის სხვა (დანარჩენ) ანგარიშებზე ნაშთი ასევე არის 0.“